ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 108

“19” აპრილი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ: №81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ: №81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 29 იანვრის №19.78.141 განკარგულებით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 4 აპრილის №19.377.503 განკარგულებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით) განსაზღვრული ქონების: ხაზოვან ობიექტად (სიგრძე 2503.99მ.) რეგისტრირებული საკომუნიკაციო ნაგებობის: ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ: №81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, ამხანაგობასთან „სოფელი შინდისის მოსახლეობა“ გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**